ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი № 06

დაბა ქედა, 18 ოქტომბერი, 2022
წელი

სხდომა დაიწყო 15:00 სთ-ზე;
სხდომა დამთავრდა 17:10 სთ-ზე.

სხდომას გენდერული თანასწორობის საბჭოს 15 წევრიდან ესწრებოდა 12.

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ ხარაძე - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:
თეა შარაშიძე - გენდერული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ზაზა დავითაძე - საბჭოს წევრი (მდივანი);
მაგდა მახარაძე - საბჭოს წევრი;
ინდირა გორგაძე - საბჭოს წევრი;
ჯემალ ტაკიძე - საბჭოს წევრი;
მამია გვარიშვილი - საბჭოს წევრი;
მარინა ბარამიძე - საბჭოს წევრი;
ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე - საბჭოს წვერი;
მზია ბოლქვაძე - საბჭოს წევრი;
თინა თებიძე - საბჭოს წევრი;
მადონა ფალავანდიშვილი - საბჭოს წვერი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
შორენა კარანაძე - საბჭოს წევრი;
ვლადიმერ თებიძე - საბჭოს წევრი;
ეკა გოგუაძე-მახარაძე - საბჭოს წვერი;

ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

18 ოქტომბერი, 2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ოთარ ხარაძე	საბჭოს თავმჯდომარე	
2	თეა შარაშიძე	საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე	
3	ზაზა დავითაძე	მდივანი	
4	მზია ბოლქვაძე	საბჭოს წევრი	
5	მარინა ბარამიძე	საბჭოს წევრი	
6	შორენა კარანაძე	საბჭოს წევრი	
7	მაგდა მახარაძე	საბჭოს წევრი	
8	ინდირა გორგაძე	საბჭოს წევრი	
9	ჯემალ ტაკიძე	საბჭოს წევრი	
10	მაძია გვარიშვილი	საბჭოს წევრი	
11	თინა თებიძე	საბჭოს წევრი	
12	მადონა ფალავანდიშვილი	საბჭოს წევრი	
13	ეკა გოგუაძე-მახარაძე	საბჭოს წევრი	
14	ვლადიმერ თებიძე	საბჭოს წევრი	
15	ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე	საბჭოს წევრი	

გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის დაწყებამდე საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ რომან დავითაძემ საბჭოს თითოეულ წევრს მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისა და განვლილ წლებში ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ნაყოფიერად წარმოჩენისათვის, შემდეგ კი სხდომის წევრებს წარუდგინა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ამავე საბჭოს წევრის ოთარ ხარაძის კანდიდატურა და წარმატებები უსურვა სამომავლო საქმიანობაში.

ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ სხდომის დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით

დღის წესრიგი:

1. საპატიო ქედელის წოდების მინიჭებისათვის კანდიდატის შერჩევა და მერისთვის წარდგენა.

2. გენდერული თანასწორობის საბჭოს პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილების შეტანა.

მოისმინეს: საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თეა შარაშიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის ვეტერინარის ია ბარამიძის კანდიდატურა საპატიო ქედელის წოდების მინიჭებისათვის, ხოლო სხდომის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ დაასახელა ბაგა-ბაღების ღვაწლმოსილი პედაგოგ/აღრმზრდელის ნანი სირაბიძის კანდიდატურა.

ასევე სხდომაზე განხილულ იქნა საბჭოს პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილების შეტანის საკითხი და მირანდა ფარტენაძის კანდიდატურის დამატება საბჭოს შემადგენლობაში.

საბჭოს წევრებს წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

პროექტების გაცნობის შემდგომ სხდომის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ საკითხები კენჭისყრაზე დააყენა:

პირველი საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

მეორე საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

საბჭომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ეთხოვოს ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეს შესაბამისი წერილის გაგზავნა მუნიციპალიტეტის მერისთვის საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატურების წარსადგენად.

2. ეთხოვოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა (საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება) საბჭოს პერსონალური შემადგენლობის ფორმირებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებით (საბჭოს იურისტმა ზაზა დავითაძემ უზრუნველყოს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება).

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ 17:10 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

ოქმი შეადგინა:
საბჭოს წევრი (მდივანი) ზაზა დავითაძე